პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა,
8 იანვარი, 1961 წ.
№ 4 (1640)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი ამჟამად წვრთნას გადის დიდმის საწვრთნელ ბაზაზე. ეს სურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო მაშინ, როდესაც დინამოელები ატარებდნენ მორიგ ვარჯიშს. მარცხნიდან — შ. იამანიძე, ჯ. ზეინკლიშვილი, ე. თორაძე, თ. მელაშვილი, ბ. სიჭინავა.

დიდი ჩემპიონატი

საბჭოთა კავშირის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც 10 იანვარს დაიწყება მოსკოვში, სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მიუხედავად იმისა, რომ მასში არ მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონი მ. ტალი და მ. ბოტვინიკი, რომლებმაც მარტის დამდეგს უნდა განაგრძონ დავა მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინისათვის. დიდი ინტერესი აიხსნება იმით, რომ ჩემპიონატში თავს იყრის საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეთა ბირთვი. ბრძოლაში ჩაებმევიან საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრები სმისლოვი, კერესი, კორჩნოი და პეტროსიანი, ნახევრფინალებში გამარჯვებულნი გროსმაისტერები ტაიმანოვი, სპასკი, ბოლესლავსკი, პოლუგაევსკი, ავერბახი, ბრონშტეინი, კოტოვი, ოსტატები ტარასოვი (ომსკი), ლუტიკოვი (ნოვოსიბირსკი), ბორისენკო (სვერდლოვსკი), ბანიკი (კიევი), ხასინი (მოსკოვი), გუფელდი (ჩერკასი), სიმაგინი (მოსკოვი), ჩერეპკოვი (ლენინგრადი), ფურმანი (ლენინგრადი) და შტეინი (ლვოვი).

ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის გადწყვეტილებით XXVIII ჩემპიონატი იქნება აგრეთვე მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. ჩემპიონატში ოთხი გამარჯვებული (გროსმაისტერ პ. კერესის ჩაუთვლელად, რომელსაც უფლება აქვს უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა პრეტენდენტთა ტურნირში) დაიშვება საზონათშორისო ტურნირში.

ჩემპიონატის მთავარი არბიტრია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. გოგლიძე.

სტუმრად აშშ-ში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ლ. ლატინინა, ბ. შახლინი, ს. მურატოვა, პ. ასტახოვა, თ. ლიუხინა, მ. ნიკოლაევა, ა. აზარიანი.

საბჭოთა ტანმრთველარჯიშეები გამართავენ ორ შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან, მოაწყობენ რამდენიმე საჩვენებელ გამოსვლას.

სპარტაკიადა და მზადება სპარტაკიადისათვის

„ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

ჩვენი საყვარელი სამშობლო მძლავრი ძალებით აღსავსე ეგებება ახალ, 1961 წელს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც ეს არის დამთავრდა, დაამტკიცა შვიდწლედის მესამე წლის გეგმა. ამ გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, მეცნიერებისა და კულტურის ახალ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ხალხი ამ გეგმებს რეალობად აქცევს და მომავალ წელს ახალ სასახელო ფურცლებს ჩაწერს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მომავალ წელსაც ისევე თანმიმდევრულად, მტკიცედ და შეუპოვრად იბრძოლებენ ახალი წარმატებისათვის საბჭოთა ეკონომიკის განვითარებისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის, მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. დაე მშვიდობა და თავისუფლება იყოს ყველა ხალხის ხვედრი დედამიწის ყველა კუთხეში“.

ეს ციტატა ამოღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მილოცვიდან. ამ ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდ ასახულია საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მიზანი — ხალხთა შორის მეგობრობის თანმიმდევრული განმტკიცება და, რაც მთავარია, დაუღალავი ბრძოლა საბჭოთა ადამიანის შემდგომი კეთილდღეობისათვის.

დადგა 1961 წელი... იგი მრავალმხრივ საინტერესოა ჩვენთვისაც. 1961 წელი არის საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების, ნაკრები გუნდების შერჩევის, დაკომპლექტების გადამწყვეტი პერიოდი, 1961 წელს ჩატარდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ჩატარდება სპორტის 40-ზე მეტ სახეობაში საკავშირო პირველობა და საერთაშორისო შეჯიბრება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიმდინარე წელი გასულ წლებთან შედარებით უფრო საინტერესო იქნება.

რა ამოცანები დგას 1961 წელს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე? პირველი და უახლოესი ეს არის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა. მართალია, მისი ვადები გადაიდო (ზონალური სპარტაკიადა ჩატარდება მარტში, ფინალური — აპრილში), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ოდნავ მაინც შევასუსტოთ ყურადღება ამ ფრიად მნიშვნელოვანი კომპლექსური ღონისძიებისადმი. ჩვენი ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი ეს დიდი შეჯიბრება უნდა შეეფერებოდეს და ავსებდეს ქართველი ხალხის საზეიმო დღესასწაულო დღეებს.

გასულ წელს ჩვენმა მომავალმა თაობამ, მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივმა გვასახელა—საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა. მაგრამ ეს იყო ზონა და არა საკავშირო მასშტაბით შეჯიბრება. მიმდინარე წელს ტარდება საკავშირო სპარტაკიადა, რომელსაც მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა. ეს იმიტომ, რომ აქ უნდა დაინახონ ჩვენმა სპეციალისტებმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების კანდიდატები, აქ უნდა დავინახოთ ჩვენ საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში მონაწილე გუნდების შევსება. მაშასადამე, განათლებისა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა ბავშვთა სპორტი რესპუბლიკაში ჯეროვან სიმაღლეზე იდგეს, რათა იგი უწყვეტ ნაკადად იძლეოდეს ნიჭიერ სპორტსმენებს.

მთელი ჩვენი მუშაობის შემაჯამებელი და შემფასებელია საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც უკვე მესამედ ტარდება. 1962 წლის ზაფხულში მოსკოვში თავს მოიყრის საბჭოთა სპორტის საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. თვითეულ დელეგაციაში იქნება 1000-ოდე სპორტის ოსტატი და პირველთა ნრიგოსანი. სპარტაკიადის პროგრამა გაზრდილია, მას დაემატა ტრეკზე რბოლა, აკადემიური ნიჩბოსნობა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით მზადება უკვე დაწყებულია, მოხაზულია ნაკრები გუნდების კონტურები. რასაკვირველია, საბოლოოდ იგი დადგინდება მერე, როდესაც ეს დიდი ღონისძიება უშუალოდ მოგვიახლოვდება. მანამდე კი საჭიროა რეზერვის ძებნა არა მარტო თბილისში, არამედ რაიონებში. საჭიროა მივაძოთ დუშეთის რაიონის მაგალითს, რომელმაც გამოავლინა მრავალი იმედის მომცემი მძლეოსანი, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკის სპორტულ კოლექტივში ყველა რაიონი იყოს წარმოდგენილი.

ჩვენ ამ დიდ კომპლექსურ ღონისძიებაზე იმიტომ კი არ გავამახვილეთ ყურადღება, რომ სხვა ღონისძიებები დავივიწყოთ. არა, ყველა ღონისძიება, რომელიც კალენდარში გვაქვს გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია, გამიზნულია და გვერდის ახვევა არ შეიძლება. ისინი გვაძლევდნენ ჩვენ სწორ ორიენტაციას, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, როგორი ხარისხის რეზერვი გვეზრდება და ეს რეზერვი როგორ დაგვეხმარებოდა ჩვენ, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საპატიო V ადგილის შენარჩუნებასა და წინ გადანაცვლებაში.

1961 წელი ძალაში შევიდა. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა იგი უნდა განვლონ მასობრიობის შემდგომ აღმავლობაში, საზოგადოებრივი კადრების განუხრელი გამრავლებისა და სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლების შემდგომ ზრდაში.

ქენევა, ლოზანა

2 მარტს შვეიცარიის ქალაქებში ქენევასა და ლოზანაში საზეიმო ვითარებაში აღიმართება ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ალამი, რომელიც 13 მარტამდე გასტანს. უკვე დამთავრდა განაცხადების მიღება ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში.

როგორც ცნობილი გახდა, სეზონის ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ავსტრიამ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ჰოლანდიამ, იტალიამ, კანადამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ფინეთმა, საფრანგეთმა და სხვ.

ინსბრუკის ტრამპლინიდან

ავსტრია-გერმანიის ოთხი ტრამპლინის ტურნირის მონაწილეებმა გარმიშ-პარტენკირხენიდან ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გადაინაცვლეს, სადაც 6 იანვარს გაიმართა მესამე შეჯიბრება. აქ ლიდერთაგან წარმატებით გამოვიდა მხოლოდ ჰ. რეკნაგელი, რომელმაც ორი ცდის ჯამში აჩვენა 77,5 და 81,5 მ. მოაგროვა 226 ქულა და მეორე ადგილი დაიკავა ამ ტრამპლინზე, რის შედეგადაც იგი სამი ტრამპლინის ჯამში სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. ტრამპლინზე გამარჯვებული გამოვიდა ფინელი ჯ. კიარკინენი, მისმა ერთ-ერთმა ნახტომმა 84 მ-ს მიაღწია, რაც ტრამპლინის ახალი რეკორდია. ჯ. კიარკინენმა ორი ცდის ჯამში 228 ქულა მოაგროვა.

კ. წაქაძემ პირველი ცდით აჩვენა იგივე შედეგი, რაც ჰ. რეკნაგელმა — 77,5 მ; მაგრამ მეორე ცდაზე გამოვიდა წარუმატებლად, სწორად კერ გამოზომა არეკნის წერტილი და 68 მ დაეშვა. თუმცა სტილში კვლავ მაღალი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ 212 ქულამ მას მხოლოდ XI ადგილი მოუტანა.

★

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ბევრი მუშა სწავლობს და წარმატებით ვარჯიშობს სპორტის სხვადასხვა სექციებში. კომბინატს ჰყავს თავისი მოფარიკავეები, ფრენბურთელები, ფეხბურთელები, მოჭიდავეები, რომლებიც წარმატებით გამოდიან როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

★



★

სურათებზე: მარცხნივ — მე-10 კლასის წარჩინებული მოსწავლე ვ. კინწურაშვილი და გ. ხაისურაძე ფიზიკის კაბინეტში. მარჯვნივ — მორიგ მეცადინეობაზე ჭიდაობაში ვ. კინწურაშვილი (ქვემოთ) და პირველთანრიგოსანი გ. ლომსიანიძე.

ფოტო და ტექსტი
გ. ლოლომაძისა.

★

საიმედო ცვლა — დღის წესრიგის ძირითადი საკითხი

✦

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის VI პლენუმი

✦

ყველა დიდ სპორტულ მიღწევას, რომელიც კი ოდესმე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს მოუპოვებია, საფუძველი სკოლაში ჩაეყარა. რესპუბლიკა, სადაც სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას. ეს არაერთხელ დაადასტურა პრაქტიკამ და განსაკუთრებით 1958 წელს, როცა საქართველოს მოსწავლეებმა ბავშვთა საკავშირო სპარტაკიადაზე უკან ჩამოიტოვეს ძლიერი კოლექტივები და საერთო გუნდური პირველობა დაიმკვიდრეს, ხოლო მინსკის ზონალურ სპარტაკიადაზე ერთხელ კიდევ მოიპოვეს ეს საპატიო სახელი.

ერთი სიტყვით საქართველოს სკოლებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის კარგი სისტემის შესახებ არა ერთგზის ითქვა და დაიწერა, მაგრამ თუ გადავხედავთ მაჩვენებლებს სპორტის ცალკეულ სახეობებში, ნათელი გახდება, რომ თურმე ჯერ კიდევ სერიოზულ ხარვეზებს აქვს ადგილი. განათლების, სპორტკავშირის და სპორტულ საზოგადოებათა ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასკოლო კოლექტივებს, არ ზრუნავენ მათი განმტკიცებისათვის, რის გამო ხშირად რაიონების უმეტესობა სათანადო შევსებას ვერ აძლევს რესპუბლიკას. მაგალითად, მინსკის ზონალურ სპარტაკიადაში მონაწილე 285 მოსწავლიდან ნახევარზე მეტი თბილისიდან იყო. ხოლო სხვები რესპუბლიკის 13 ქალაქიდან და რაიონიდან, მთელმა რიგმა რაიონებმა კი თითო კანდიდატიც ვერ მისცეს რესპუბლიკურ ნაკრებს.

განსაკუთრებით დაბალია ფიზაღზრდის დონე დაწყებით სკოლებში, რადგან სწავლების ამ საფეხურზე ეს საქმე მინდობილი აქვთ ფიზკულტურის არამცოდნეთ. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და სიღნაღის რაიონის დაწყებით კლასებში არასათანადო სიმაღლეზე ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ბევრი დირექტორი და განათლების განყოფილების გამგე ფიზკულტურასა და სპორტს ზერელედ უყურებენ.

ჯავის რაიონის თითქმის ყველა სკოლაში ფიზაღზრდას დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები ასწავლიან. რაიონული ცენტრის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელ გ. სანაკოევს კი ამ დარგში არავითარი ცოდნა არა აქვს. ფიზკულტურის გაკვეთილები დაბალ დონეზე ტარდება თბილისის 72-ე, 21-ე, 23-ე, 73-ე, 36-ე, 50-ე და მე-40 სკოლებში, ხშირად მასწავლებლები გაკვეთილებზე მოუმზადებლები ცხადდებიან (როგორც ეს იყო ონის და ქუთაისის I საშუალო სკოლებში, მასწავლებლები ჯანოევი და დანელია). ბევრგან კი განიცდიან ბაზების სიმცირესაც, მაგალითად, სოხუმის 13 სკოლიდან მხოლოდ 5 აქვს დარბაზი, ჭიათურის 13 სკოლიდან — ერთს, ახალქალაქის 20 სკოლიდან — ერთს და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ვანის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ხობის, მცხეთისა და სხვ. რაიონებშიც, რაც საგრძნობლად აძნელებს კლასგარეშე მუშაობას.

ყველა ეს და მთელი რიგი ნაკლოვანებანი გამოხატულებას პოულობს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტებასა და მათ მაჩვენებლებში, განსაკუთრებით სუსტ რგოლად რჩება ველოსიპედოლა, მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ტყვეთ სროლა და სხვ. ზოგნი ამ სახეობებში ჩამორჩენას ხსნიან ბაზების სიმცირით, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტყვეთ სროლაზე, ამ სახეობაში მომეცადინე 17 ჯგუფში 157 მოსწავლეა გაერთიანებული. თითო ბავშვზე 2 ტირი მოდის (განათლების სამინისტროს ცნობით რესპუბლიკის 380 სკოლას აქვს ტირი), ძლიერი სპორტსმენები კი არ ჩანს. ყველა ამის შესახებ და მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადების შესახებ მოუთხრო თავის მოხსენებაში საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდებთან მუშაობის ინსტრუქტორმა ი. ბაცელაშვილმა საქართველოს სპორტკავშირის VI პლენუმის მონაწილეებს.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხის — რესპუბლიკაში ტანვარჯიშის განვითარების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა თბილისის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. რცხილაძემ.

წლების განმავლობაში განცდილი ერთგვარი ჩავარდნების შემდეგ საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა სათანადო წარმატებებს მიაღწიეს და ახლა საკავშირო ჩემპიონატებში 4-5 ადგილებს იკავებენ. წარმატებანი იქნა მოპოვებული საზოგადოებათა პირველობებზეც. მაგალითად, საქართველოს დინამოელებმა პირველი, არმიელებმა — მეორე, ბურევესტნიკელებმა — მეოთხე ადგილები დაიკავეს თავიანთი საზოგადოებების პირველობებზე, მაგრამ თუ მოვიგონებთ უფრო ადრინდელ წლებს, როცა საქართველოს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ჩვენს ქვეყანაში, ნათელი გახდება, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშეების მუშაობის სისტემაში ყველაფერი რიგზე როდია, მაშინ, როცა ახლა გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი — აიგო ახალი ბაზები თბილისში, რუსთავში, გორში, სოხუმსა და სხვ. ქალაქებში.

მუშაობაში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ნაკლებ მასობრიობაში, საქმისადმი მწვრთნელების გულგრილ დამოკიდებულებასა და შეჯიბრებათა ჩატარების არა სწორ სისტემაში უნდა ვეძებოთ. ბევრგან ოცნებობენ რა მხოლოდ თანრიგოსანთა რიცხობრივ ზრდაზე, ნაკლებად ინტერესდებიან მაღალთანრიგოსანთა აღზრდით, მწვრთნელ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი წლიდან წლამდე დამწყებებთან მუშაობენ, რის გამო მათ აღზრდილებს ვერ ვხედავთ წამყვანთა შორის. აქ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქუთაისელი მწვრთნელი თავდიდიშვილი, რომლის აღზრდილები თითქმის რეგულარულად არიან რესპუბლიკის ნაკრებში.

ტანვარჯიშის დარგში მუშაობა შესუსტდა საზოგადოებებში, სპორტულ და სპეციალურ ტანვარჯიშულ სკოლებში, უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში. ბავშვთა რაიონულ ტანვარჯიშულ სკოლებში ხშირად მწვრთნელის საპატიო სახელს თავშეფარებული არიან არაკვალიფიციური ადამიანები, ხოლო ზოგან კვალიფიციურნიც არაფერს აკეთებენ. მაგალითად, თბილისის კალინინის რაიონში მ. ოგანეზოვს, ბ. ჩხაიძეს, მ. ხითარიშვილს, ა. ლაცაბიძეს, 26 კომ. სახ. რაიონიდან ი. გინგაძესა და გ. ღლონტს, ოქტომბრის რაიონიდან კ. მელქუსა და სხვებს 2-3 წლის განმავლობაში არცერთი მაღალთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე არ აღუზრდიათ.

ყოველივე ამის გამო ორგანიზაციების უმეტესობამ ვერ შეძლო გეგმების განაღდება. „განთიადმა“ 6 ოსტატის ნაცვლად მოამზადა —2, „ბურევესტნიკმა“ 4-ის ნაცვლად— 1, „ლოკომოტივმა“ — 1 ოსტატი, „შრომითი რეზერვებმა“ 10 პირველთანგოსნიდან მოამზადა 5 და ა. შ.

კიდევ ერთი ფაქტი, ამასწინად ჩატარებულ თბილისის პირველობაზე მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პედინსტიტუტისა და ორი ტექნიკუმის 38 სპორტსმენი, მაშინ, როცა ადრე ამგვარ შეჯიბრებებში 400-500 ტანმოვარჯიშე გამოდიოდა. სად იყვნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკური სასწავლებლების ტანმოვარჯიშენი? ფაქტები კომენტარს არ საჭიროებენ. ცხადია, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული ტანვარჯიშის სათანადო სიმაღლეზე აყვანისათვის ყველა პირობა არსებობს, საჭიროა მხოლოდ საქმიანობის სათანადოდ გარდაქმნა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საშუალო სკოლებში ტანვარჯიშის განვითარების დონის, მისი პროპაგანდის, შეჯიბრებათა ჩატარების ორგანიზაციასა და სხვ. საკითხებზე.

პლენუმის ორივე ძირითადმა საკითხმა გამოიწვია დამსწრეთა ინტერესი და ცხოველი კამათი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კ. კოკაიამ (აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე), ა. არბოლიშვილმა (სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირი), გ. მერკვილაძემ (განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის შეთოდკაბინეტის გამგე), ი. ბოჟორიძემ („განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე), ა. ჩოგოვაძემ (ქუთაისის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე), ა. ფალავანდიშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი), შ. მჟავანაძემ (აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე), სპორტის ოსტატმა ს. ჯაიანმა, ბ. ჰაუჭაძემ („ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე) და სხვებმა.

პლენუმის ორივე საკითხის ირგვლივ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. მან არა მარტო შეავსო მოხსენებანი, არამედ მრავალი საინტერესო ფაქტი დასახელა, რაც ხელს უშლის რესპუბლიკაში როგორც ბავშვთა სპორტის განვითარებას, ისე ტანვარჯიშში დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. იგი განსაკუთრებით ფართოდ შეეხო განათლების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების, მათი ბავშვთა სპორტული სკოლების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ილაპარაკა თუ რა ღონისძიებათა გატარება იქნება საჭირო სპორტკავშირსა და სპორტსაზოგადოებებთან ერთად მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენებისა და მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებისათვის.

ამხ. სიხარულიძემ, როცა შეეხო ტანვარჯიშს, მკაცრად გააკრიტიკა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციები, მწვრთნელები, ნაკრების წევრები, რომლებიც კმაყოფილდებიან ერთგვარი წარმატებებით, ნაკლებად ზრუნავენ რეზერვებზე და მაღალთანრიგოსანთა აღზრდაზე, რომელსაც მოკლე ხანში შეეძლება დაიკავოს წამყვანი პოზიციები რესპუბლიკაში.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

არ არის თხილავშრები, სხვა ინვენტარი

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ახალქალაქის რაიონში, ერთგვარად ამაღლდა ნაკრები გუნდების მაჩვენებლები, რაიონს შეემატა არა ერთი სპორტული ბაზა, ამას წინათ კი ამირანის გორაზე მწყობრში ჩადგა ტრამპლინი. ერთი სიტყვით, წინსვლა აშკარად იგრძნობა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სპორტის მოყვარულთა მოთხოვნილებამ საგრძნობლად გაასწრო შესაძლებლობას.

რაიონში არაერთხელ იყო მსჯელობის საგნად სტადიონის მშენებლობის ტემპის და საცურაო აუზის აგების საკითხი, მაგრამ დღემდე, როგორც ერთი, ისე მეორე გადაუწყვეტელ პრობლემებად იქცნენ, წლების განმავლობაში ჭიანურდება სტადიონის მშენებლობა, ხოლო საკითხი აუზის აგების შესახებ კვლავ ღიად დარჩა.

არის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი — რაიონის სპორტსაჭონლით მომარაგება. განსაკუთრებით ძნელი საშოვნელი გახდა კარგი ხარისხის სათხილამურო და ტანვარჯიშული ინვენტარი, სავაჭრო ორგანიზაციებს შედარებით დაბალი ხარისხის იარაღებით აქვთ სავსე მაღაზიები, ზოგჯერ კი ისიც არ იშოვება.

ზ. წინწკალაძე,
ს. სარიბეკიანი

თასი გადაეცა

დამთავრდა თბილისის სპეციალური საშუალო სასწავლებლების სპარტაკიადა, სადაც 11 ჯგუფში გაიმარჯვეს 1-ლი სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენებმა (დირექტორი პ. ჩუბინიძე). სასწავლებლის კოლექტივმა გამართა სპორტული საღამო, საღაც მოიწვიეს რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. შავლაყაძე და ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე მ. ნინოშვილი.

სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ლ. ცერცვაძემ ილაპარაკა სპარტაკიადის შედეგებზე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დ. ევსტაფიევმა — რომის ოლიმპიადის საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

მოსწავლეთა თხოვნით სიტყვით გამოვიდა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. შავლაყაძე, რომელმაც მოსწავლეებს მოუთხრო თავისი სპორტული გზის შესახებ. დასასრულს საზოგადოება „სპარტაკის“ თასი გადაეცა სპარტაკიადაში გამარჯვებულ სასწავლებლის კოლექტივს.

დ. მესხი

ლ ე ლ ო

ფე-2 ბ3. № 4 (1640)

ალაგვარი
ფიზკულტურა

შეფეგი სტუმრად

ამ დღეებში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის (გამგე კ. ზაუტაშვილი) მასწავლებლები და სპორტსმენები ეწვივნენ სოფელ დიდ ლილოს, სადაც ჩაატარეს ადგილობრივ სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში. მოაწყეს საჩვენებელი გამოსვლები სიმძიმეების აწევაში, კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში. სპორტული გამოსვლების დამთავრების შემდეგ მათ ლილოელ სპორტსმენებს საჩუქრად გადასცეს სპორტული ინვენტარი.

ასეთი კეთილშობილური საქმე მისაბაძია, რადგან იგი ხელს უწყობს სოფლის ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესებას.

გ. მალალაშვილი

რაიკომის ბიუროს მსჯელობის შემდეგ

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონში ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის საკითხი. აღნიშნა, რომ რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივობის საქმეში. წარმატებით სრულდება თანრიგოსანთა, ნიშნოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები.

ამასთან ერთად აღინიშნა ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანიც. განსაკუთრებით ხაზი გაესვა მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. რაიკომის ბიუროს დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას სწრაფად შეუდგნენ ადგილობრივი ორგანიზაციები. ნიგვზიანის, სუფსისა და მამათის ჩაის ფაბრიკების კოლექტივებში მოედნების მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. უკვე დამთავრდა წინასწარი მიწის სამუშაოები ლესაში და ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე.

ი. ებრალიძე

ამას წინათ ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა ფრენბურთში, მეორე ჯგუფის გუნდებისათვის.

სურათზე: რუსთაველისა და სტალინირის ჭაბუკ ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვეს სტალინირელებმა.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

ქალაქის ორ საციგურაოზე

კიროვი. (ტელეფონით). ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოციგურეთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ქალთა შორის წარმატებით გამოვიდა ვ. სტენინა (სვერდლოვსკი), რომელმაც მოიგო, როგორც 1000-მეტრიანი დისტანცია — 1.40,2, ისე 3000-მეტრიანი — 5.34,0. ამრიგად, იგი სამ დისტანციაზე პირველი იყო, ოთხჭიდში მოაგროვა 208.566 ქულა და დაიკავა პირველი ადგილი.

ვაჟთა შორის ორივე სპრინტერული დისტანციის ჯამში წინ იყო სპარტაკელი ი. მიხაილოვი, მაგრამ სამი დისტანციის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო რ. მერკულოვმა, რომელსაც „კვალში“ მიჰყვებოდნენ ბ. შილკოვი და ე. გრიშინი, მაგრამ ფინიშამდე ვერც მერკულოვმა გაძლო და მრავალჭიდში მესამე ადგილზე აღმოჩნდა. გამარჯვებული გამოვიდა ვ. კოსიჩკინი, რომელმაც მართალია, 5000 მეტრზე 3,6 წამით წაგო ამ დისტანციაზე გამარჯვებულ გონჩარენკოსთან, მაგრამ ადრე მოპოვებულმა უპირატესობამ „უშველა“ საერთო პირველი ადგილის განაღდებაში.

ფრენგურთი

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს მოზარდ ფრენბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. თბილისის ზონიდან ფინალურ ჯგუფში მოხვედრისათვის იბრძვიან ბაქოს, კიევის, როსტოვის, ერევნის, კრასნოდარის, კიშინიოვისა და თბილისის ჭაბუკთა და გოგონათა უძლიერესი გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს წარმატება ხვდა წილად თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებს. გოგონებმა ადვილად დაამარცხეს კრასნოდარელი მეტოქეები — 2:0 (15:5, 15:2) და შეჯიბრების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა ჭაბუკებმაც. მათი გამუდმებული იერიშების მოგერიება ვერ შეძლეს მოსკოველმა კოლეგებმა, რომლებმაც პირველ პარტიაში მხოლოდ 1 ქულის აღება შეძლეს. მდგომარეობა არც მეორე პარტიაში შეცვლილა. მასპინძელთა უპირატესობა კვლავ აშკარა იყო და შეხვედრაც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 2:0 (15:1, 15:4).

გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ბაქოს გოგონათა გუნდმა იოლად დაამარცხა კიშინიოვის გუნდი. საინტერესოდ წარიმართა კიევისა და ერევნის გოგონათა შეხვედრა. მაღალ ტანის კიეველთა ხშირ დარტყმებს ერევნელებმა ძლიერი დაცვა და მოქნილი ურთიერთდაზღვევა დაუპირისპირეს. მიუხედავად ერევნელთა თავგანწირული თამაშისა, კიეველებმა შეძლეს პირველი პარტიის მოგება. მეორე პარტიაში ერევნელებმა არა თუ გაუწიეს ღირსეული მეტოქეობა ძლიერ მოწინააღმდეგეს, არამედ სძლიეს კიდეც მას. შეჯიბრების ბედი მიენდო გადამწყვეტ პარტიას. კიეველებს დაღლილობა დაეტყოთ, დარტყმებმა დაკარგეს სიძლიერე და

მენისკის დაზიანება

სპორტულ ტრავმათა შორის მუხლის სახსრის დაზიანება მეორე ადგილზე დგას; მათგან ყველაზე სერიოზულია მენისკის დაზიანება. უმეტესად იგი გვხვდება ფეხბურთელებს, მოთხილამურეებს, კალათბურთელებსა და ტანმოვარჯიშეებს შორის.

მართალია, მენისკის დაზიანება მძიმე ტრავმად ითვლება, მაგრამ საკუსებით შესაძლებელია მისი თავიდან აცილება და მკურნალობა სპორტული მოღვაწეობის სრული აღდგენით.

მუხლის სახსარი წარმოდგება ბარძაყის ძვლის დისტალური და დიდი წვივის ძვლის პროქსიმალური ეპიფიზებისაგან, რომელთანაც მჭიდრო ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ოთხთავა კუნთის მყესოვან ბოლოში ჩამჯდარი ყველაზე დიდი სესამოიდური ძვალი — კვირისთავი. აღნიშნული ძვლები მყესკუნთოვანი აპარატით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც ქმნის მუხლის სახსრების კაპსულას.

დიდი წვივის ძვლის სასახსრე ზედაპირზე აღინიშნება მედიალური და ლატერალური ბორცვები, რომლებიც ჯვარედინი იოგების მიმაგრების ადგილია. ამ შემაღლების წინ და უკან მდებარეობს როკოთაშორისი ფოსოები, სადაც ფიქსირებულია ძვლის სახსრის მეტად მნიშვნელოვანი ნახევარმთვარისებური ხრტილოვანი წარმონაქმნები, რომლებიც ანაწევრებენ ბარძაყისა და დიდი წვივის ძვლების სასახსრე ზედაპირებს და იწოდებიან მენისკად. ეს ხრტილოვანი წარმონაქმნები მუხლის სახსარში ორია — მედიალური, ანუ შიგნითა, და ლატერალური, ან გარეთა.

მედიალური მენისკი ნამგლისებური ფორმისაა, მის სიმრუდეს უფრო დიდი დიამეტრი აქვს, ვიდრე ლატერალურს. იგი თავისი სიმრუდით მჭიდროდაა მიმაგრებული სასახსრე კაპსულასთან, წინა და უკანა რქებით კი — დიდი წვივის სასახსრე ზედაპირთან.

ლატერალურ მენისკს უფრო მცირე სიმრუდე აქვს და ბეჭდისმაგვარი ფორმისაა. ლატერალური მენისკი რკალისებური სიმრუდით ნაწილობრივ უმაგრდება სასახსრე კაპსულას, მისი წინა რქა ემაგრება დიდი წვივის ძვლის სასახსრე ზედაპირს მედიალური მენისკის წინა რქის უკან, ხოლო უკანა რქა მედიალური მენისკის წინა რქის წინ.

ორივე მენისკის წინა რქები ერთმანეთს უკავშირდება განივი იოგით, რომელიც თავის მხრივ შეხორცებულია სასახსრე ცხიმოვან ბალიშთან.

მენისკი ბუფერული ბალიშის როლს ასრულებს სახსარში. ქვედა კიდურის დატვირთვის დროს იგი იცავს ბარძაყის ძვლის სასახსრე ზედაპირს. შიგნითა მენისკი ნაკლებ მოძრავია და ამიტომაც დაზიანებანი აქ უფრო გვხვდება.

მენისკის დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს გაშლილ ფეხზე სპორტსმენის არასწორად დახტომა. ამ დროს ხდება მენისკის „გაჭყლეტა“ სასახსრე ზედაპირებს შორის. მაგრამ მენისკის უფრო ტიპიური დაზიანება ხდება მუხლის სახსარში ოდნავ მოხრილი ფეხის ტერფის გარეთ სწრაფად შებრუნებისას, ტერფზე გვერდითი ძალის მიყენებით, ანდა უძრავ მდგომარეობაში ფიქსირებულ ტერფზე ან წვივზე ბარძაყის და ტანის მკვეთრი შემობრუნებით.

ასეთ მოძრაობათა დროს მენისკი მეტწილ შემთხვევაში ჩაჯდება სასახსრე ზედაპირებს შორის, რასაც მოყვება მენისკის გაგლეჯა ან გაჭიმვა.

მენისკის ასეთნაირი დაზიანების დროს სპორტსმენი იგრძნობს მწვავე ტკივილს მუხლის სახსარში, სახსრის მოხრა ან გაშლა შეიზღუდება ტკივილის გამო, მიიღება სახსრის ბლოკადა ან კიდევ სახსარში პერიოდულად გროვდება გამონაყონი, რის გამოც იგი შესივდება.

მენისკის დაზიანების დროს არაიშვიათად უჩივიან მუხლის სახსარში უხერხულობის გრძნობას, ტკივილს თავდაღმართში ან კიბეზე ჩასვლისას. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმ-სპეციალისტს.

მენისკის დაზიანება სერიოზული დაავადებაა, მაგრამ მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ დავიცავთ შემდეგ პირობებს: სპორტსმენი არ უნდა გამოვიდეს ასპარეზობაზე მოუმზადებელი, იგი უნდა იწრთობოდეს რეგულარულად, უნდა გაამაგროს კუნთოვანი და ძვალ-სახსროვანი სისტემა, ყოველდღიური და მრავალმხრივი ვარჯიშებით; შეჯიბრზე გამოსვლის წინ აუცილებლად გაკეთოს კარგი დაჭურვა, თანდათანობით მზარდი ინტენსიური მოძრაობით გაახუროს სახსროვანი და კუნთოვანი სისტემა, რომ დაუახლოვოს ორგანიზმი შეჯიბრების დროინდელ ფიზიკურ მდგომარეობას; თამაშების დროს არ დაუშვას დაუფიქრებელი ილეთები, უხეშობანი და თავდავიწყებული აზარტი, რასაც ხშირად მოყვება თამაშის წესის და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა; ყოველი გამოსვლის დროს სპორტსმენმა უნდა გაითვალისწინოს მეტეოროლოგიური პირობები (ტემპერატურა, წვიმა, ტალახი). განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო ყინვიან და წვიმიან ამინდში, აგრეთვე ცუდ სინათლეზე თამაშის დროს. მეტად სასარგებლოა სახსრების, ბარძაყისა და წვივის კუნთების თვითმასაჟი, მუხლის სახსრების სპეციალური ვარჯიშებით გამაგრება ყოველი წვრთნის დროს; კარგად განვითარებული, ელასტიური და ძლიერი კუნთები და მყესიოგოვანი აპარატი მუხლის სახსრების დაზიანებათა თავიდან აცილების საწინდარია.

ზ. თელია,

ქალაქის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.

თოვლის მოყვარული ბევრია ბაკურიანში, თეთრ საბურველში გახვეული დაბა, მისი წარმტაცი მიდამოები, მზის, თოვლისა და ფანტაზიის მხარე ყველას იზიდავს, დარბიან თხილამურებით, ეშვებიან, მაგრამ ყველა როდი ბედავს თხილამურებზე დგომას. აი ამ გოგონებმა გართობისა და აქტიური დასვენების თავისებური გზა აირჩიეს — „მატარებელი“ საიმედო და უხიფათოა. სრიალიც შეიძლება, გართობაც და თოვლში კოტრიალიც.

უნგრეთი შემცირების წინააღმდეგია

როგორც ცნობილია, იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება შემცირდეს მომავალი თამაშების პროგრამა და სპორტის ზოგიერთ სახეობასთან ერთად ამოღებულ იქნას თანამედროვე ხუთჭიდი.

უნგრეთის თანამედროვე ხუთჭიდელთა კავშირმა პროტესტი გამოთქვა ამ უმართებულო გადაწყვეტილების გამო. პროტესტში კერძოდ ნათქვამია, რომ უნგრელმა ხუთჭიდელებმა რომში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და მოიპოვეს ოქროს მედლები როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. ახლა კი უნგრეთს უნდა წაართვან პრიორიტეტი სპორტის სახეობაში, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მართლაც, უნგრელთა პროტესტი არ არის საფუძველს მოკლებული. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რომის ოლიმპიურ თამაშებზე თანამედროვე ხუთჭიდი 17 სახელმწიფოთი იყო წარმოდგენილი.

როგორც საფრანგეთის სპორტული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, იაპონელთა წინადადებას ათენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე სერიოზული კრახი მოელის.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 4 (1640)

საბჭოთა სპორტსმენები საგზაოკაკეში

ნორვეგია

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გუშინ დაიწყო და დღეს დამთავრდება მოცეგურეთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრა ოსლო—მოსკოვი. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არის 9 სპორტსმენი. მათ შორის: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ო. გონჩარენკო, ოლიმპიური ჩემპიონები ვ. კოსიჩკინი და ე. გრიშინი, საბჭოთა კავშირის 1959 წლის აბსოლუტური ჩემპიონი რ. მერკულოვი, ვ. გუროვი, გ. ვორონინი, ა. ლიაპკოვი, ვ. შილიკოვსკი და ა. კორიაშკინი.

შვეცია

შვეციაში სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი ასეთი შემადგენლობით: ვ. ჩინოვი, ი. ოვჩუკოვი, ნ. სოლოგუბოვი, ი. ტრეგუბოვი, ე. ბრეკნევი, გ. სიდორენკოვი, ვ. კუზმინი, ა. რაგულინი, კ. ლოკტევი, ა. ალმეტოვი, ვ. ალექსანდროვი, ძმები მაიოროვები, ვ. სტარშინოვი, ნ. სნეტკოვი, ვ. იაკუშევი, ვ. ციპლაკოვი. გუნდის მწვრთნელია ა. კოსტიუკოვი.

საბჭოთა ჰოკეისტები გამართავენ ორ შეხვედრას შვედ სპორტსმენებთან. პირველი მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებმა წააგეს ანგარიშით 4:6.

✦

1952 წელს შვეციაში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც დაკავშირებულია ჰოკეის ევროპული ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტის სახელთან. მას შემდეგ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უძლიერესი გუნდები რეგულარულად იკრიბებიან შვეციის დედაქალაქში და ეჯიბრებიან ერთმანეთს საპატიო თასისათვის, რომელმაც უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

საპატიო პრიზის მიმდინარე გათამაშებაში მონაწილეობდა შვეციის სამი გუნდი — თასის გასული წლის მფლობელი „იურგორდენი“, „ლეკსანდი“ და „სედერტელიე“ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის „რუდე გვეზდა“ (ბრნო) და მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“. წარმატებით ჩაატარა ტურნირი საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა „სედერტელიე“ — 5:4, „რუდე გვეზდა„ — 3:2, „იურგორდენი“ — 6:2, —ლეკსანდი“ — 4:3, დაგროვა 8 ქულა ამდენივე შესაძლებლიდან და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა „იურგორდენი“, ხოლო მესამეზე—„რუდე გვეზდა“.

✦

ერთმანეთს უსწორებენ

ფოტოეტიუდი

ვ. ტუტოვისა.

✦

ასეთია გათამაშების კალენდარი

ნორვეგია-თურქეთი. 1 ივნისი. ოსლო.

სსრ კავშირი-თურქეთი. 18 ივნისი. მოსკოვი.

სსრ კავშირი-ნორვეგია. 1 ივლისი. მოსკოვი.

ნორვეგია-სსრ კავშირი. 23 აგვისტო. ოსლო.

თურქეთი-ნორვეგია. 29 ოქტომბერი. ანკარა.

თურქეთი-სსრ კავშირი. 12 ნოემბერი. სტამბოლი.

როგორც ცნობილია, ფეხბურთში მსოფლიო პირველობის წინასწარ ქვეჯგუფში ერთად მოხვდნენ სსრ კავშირი, ნორვეგია და თურქეთი. ესაა ევროპის V ჯგუფი. ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციები ამას წინათ შეთანხმდნენ შესარჩევი მატჩების ჩატარების თარიღებზე:

ერთის შეხედვით ეს ერთობ საოცარი და გაუგებარი ამბავია, ნამდვილი საფეხბურთო პარადოქსი, რომლის ამოხსნაზე თავს იმტვრევენ საუკეთესო სპეციალისტები და დიდი მცოდნენი. მართლაც: პირინეის მიწაზე, ესპანეთში, ამჟამად თავმოყრილი არიან მსოფლიოში უძლიერესი მოთამაშეები, ფეხბურთის ჭეშმარიტი „პრიმადონები“, უბადლო ვირტუოზები, რომელთა სახელები აბსოლუტურად შეეფარდება თანამედროვე ფეხბურთის უმაღლეს მწვერვალებს. მაგრამ ამ ვარსკვლავთა პროდუქცია საერთაშორისო სარბიელზე გაცილებით უფრო მოკრძალებულია, ვიდრე მათი სადღეისო კომერციული ღირებულება.

რა თქმა უნდა, ესპანეთის საკლუბო გუნდების პრესტიჟი დღეს უაღრესად დიდია. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ „რეალი“ ხუთჯერ ზედიზედ იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი და ამას წინათ ბრწყინვალედ მოიგო საკონტინენტთაშორისო მატჩი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მფლობელ „პენიაროლთან“ (ურუგვაი). გამოდის, რომ „რეალი“ ფაქტიურად უძლიერესი საკლუბო გუნდია მსოფლიოში. გარდა ამისა, ესპანეთს ჰყავს არანაკლები სიძლიერის მეორე გუნდი — „ბარსელონა“, რომელიც „რეალის“ ყველაზე საშიში კონკურენტია და ახლა ყველაზე მეტი შანსი აქვს მოიპოვოს სწორედ ის თასი, რომელიც „რეალს“ ხუთი წელი ეპყრა ზედიზედ.

მაგრამ მსოფლიოს საფეხბურთო იერარქიაში ძალთა შეფასება ხდება არა საკლუბო, არამედ სახელმწიფოთა ეროვნული ნაკრები გუნდების მიხედვით და ამიტომ სწორედ ამ პრინციპით ეწყობა მსოფლიო პირველობები. აქ კი ესპანელთა საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელები, ნაყიდი თუ საკუთარი „ვარსკვლავები“ სისტემატურად განიცდიან მარცხს და საქმე ისეთ კურიოზამდე მიდის, რომ ესპანეთის ნაკრები 16 ფინალისტთა შორისაც კი ვერ გადის.

საილუსტრაციოდ გადავხედოთ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას. პირველ გათამაშებაში ესპანეთი საერთოდ არ მონაწილეობდა. მეორე ჩემპიონატში ესპანელები დამარცხდნენ მეოთხედფინალში იტალიასთან, ხოლო მესამე გათამაშების ფინალურ ჯგუფში კვლავ ვერ მოხვდნენ.

ერთადერთ წარმატებას მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ესპანელებმა მიაღწიეს 1950 წელს, როცა მე-4 ადგილი დაიკავეს ურუგვაის, ბრაზილიისა და შვეიცის გუნდების შემდეგ. 1954 წელს ესპანელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს თურქეთის გუნდთან გადამწყვეტი მატჩის მოგება და კენჭისყრის ძალით დატოვეს გათამაშება, ხოლო უკანასკნელ გათამაშებაში, 1958 წელს მათ საკუთარ მინდორზე ფრედ ითამაშეს შვეიცარიის სუსტ გუნდთან, რამაც ფინალისაკენ გზა გაუხსნა მათს ძირითად კონკურენტს — შოტლანდიის ნაკრებს.

გარანტირებული არ არიან ესპანელები იმისაგანაც, რომ მოხვდებიან 1962 წლის ჩემპიონატის ფინალში. რასაკვირველია, სათვალავში ჩასაგდები არაა აფრიკის ზონაში გამარჯვებული გუნდი, მაგრამ ამ ქვეჯგუფში მოხვედრილია უელსის ნაკრებიც, რომელსაც, როგორც წესი, აკომპლექტებენ ინგლისის პროფესიულ კლუბებში მყოფი მეტად ძლიერი ფეხბურთელებით. ასე, რომ გზა ჩილისაკენ ესპანეთის გუნდისათვის არც ახლაა იავარდით ფენილი.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ლ. ჩაოსი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგანან: როგორ შეადგინონ ეროვნული ნაკრები — ორი დიდი კლუბის „რეალისა“ და „ბარსელონას“ შეერთებით, ერთ-ერთი მათგანის ბაზაზე, თუ პირველი ლიგის გუნდების 11 უძლერესის შერჩევით? ტყავის ბურთის ფენომენები ესპანეთში საკმარისზე მეტია და მათგან იმდენსა აქვს მიღებული ესპანური ქვეშევრდომობა, რომ ლ. ჩაოსს, ფედერაციასაც და მთავარ მწვრთნელსაც არჩევანი თავზე საყელი ექნებათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა — ესპანეთის ეროვნული ნაკრების შექმნა. დგება ათასგვარი გეგმა, ისახება პერსპექტივები, მოძრაობაში მოდის მთელი ესპანური საფეხბურთო „არისტოკრატია“, მაგრამ საბოლოოდ ნაკრები მაინც არა ჰგავს ნაკრებს და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ისევ „რეალის“ გამარჯვებებით ოხუნჯობს გულს.

იყო ერთი მომენტი, როცა ნაკრების საქმე თითქმის კარგად წავიდა. ესპანელებმა ძლიერად ჩაატარეს რამდენიმე საერთაშორისო მატჩი, გამარჯვებებსაც მიაღწიეს და ძირითადი შემადგენლობაც შეარჩიეს, მაგრამ აი გუნდი გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში და უიმედოდ წააგო მატჩი არგენტინის ნაკრებთან ანგარიშით 0:2. ამას მოჰყვა ახალი მარცხი უაღრესად პირნიკპულ მატჩში ინგლისის ნაკრებთან - „უემბლის“ სტადიონზე. მართალია, ამ დღეს ლონდონში წვიმდა, ნისლიც იდგა და სათამაშო მინდორიც მეტად მძიმე იყო, მაგრამ დამარცხების მიზეზს ეს არ წარმოადგენდა. სპეციალისტების თვალს არ გამოეპარა ის, რომ ესპანელთა მექანიზმს სადღაც, რაღაც დეტალები აკლდა, რომ იგი ძალდატანებით და გაჭირვებით აკეთებდა იმას, რაც თავისთავად, მსუბუქად და ლამაზად უნდა შესრულებულიყო. ამას თვით ესპანელებიც კარგად ატყობდნენ, რომლებიც საგანგებოდ ემზადებოდნენ ე. წ. სარეაბილიტაციო მატჩისათვის ავსტრიის გუნდთან.

1960 წლის 30 ოქტომბერს ვენაში იდგა საუცხოო, მზიანი და უქარო ამინდი, ხოლო მინდორი ხავერდივით ბიბინებდა და აბსოლუტური სიზუსტით იყო შეკრეჭილი. უკეთეს პირობებს ესპანელები ვერც ინატრებდნენ.

დამთავრდა მატჩი და მისი შედეგი ყუმბარასავით გასკდა საფეხბურთო სამყაროში. ესპანეთის ნაკრების მექანიზმს ამჯერად უკვე არა დეტალები და წვრილმანები აკლდა, არამედ გაცილებით მსხვილი ნაწილები და იგი 90 წუთის განმავლობაში უმოწყალოდ ჭრიალებდა, როგორც ეს გაუზეთავმა მანქანამ იცის ხოლმე.

ეს იყო ესპანეთის ფეხბურთის შავი დღე, ესპანური ფეხბურთის ვატერლოო.

მართლაც ამ ქვეყნის ნაკრებში ამჟამად თამაშობენ კრიტიკულ ასაკს მიღწეული კორიფეები, რომლებიც, ცხადია, 1962 წელს გაცილებით უარესად ითამაშებენ და შეიძლება ვეღარც კი გაუძლონ წელთა სიმრავლეს. ე. ი. ყოვლად უიმედო აწმყოს მოსდევს კიდევ უფრო უიმედო მომავალი და ფედერაციას უკიდურესად გადამჭრელი, ექსტრაორდინარული ზომების მიღება დასჭირდება, რათა ხელახლა დააკომპლექტოს გუნდი მსოფლიო პირველობისათვის.

მაგრამ ლ. ჩაოსსა და მის დაწესებულებას სანახევროდ შეკრული აქვს ხელ-ფეხი, ვინაიდან ესპანეთში მოთამაშეთა ბედიღბალს, მათს კარიერას განაგებენ „რეალის“ მფლობელი მილიონერი ს. ბარნაბეუ და მისი ამფსონები, რომლებსაც პირველ ყოვლისა აინტერესებთ მაყურებელთა გართობა, მათი დასწრება მატჩებზე და სრულიადაც არ ენაღვლებათ ესპანეთის ფეხბურთის ეროვნული პრესტიჟი საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომაა, რომ ნაკრებისა და კლუბების ინტერესები ასე ხშირად ეჯახება ერთმანეთს და საქმე საბოლოოდ სულ უფრო უკან და უკან მიდის.

ესპანეთის ნაკრებს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გამოჩენილი სპეციალისტი ელენო ერერა. მისი ავტორიტეტი, ცოდნა და ტაქტი ასე თუ ისე საკმარისი იყო დი სტეფანოს, ჰენტოს, რამალეტისა და სხვა პრემიერებისათვის, მაგრამ ერერას „ექსორია“ უყვეს და დიდი ხნის დავის, ძიების, ექსპერიმენტის შემდეგ მთავარ მწვრთნელად დანშნულ იქნა პედრო ესკარტინი. სწორედ ის ესკარტინი, რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა 1953 წელს.

პ. ესკარტინის დებიუტი ერთობ უიღბლო გამოდგა. მან შეადგინა ნაკრები და ათამაშა „რეალთან“. დი სტეფანო სპეციალურად იქნა დატოვებული „რეალში“, სადაც ამ მატჩისათვის საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რ. კოპა („რეალის“ თავდასხმა გამოიყურებოდა ასე: კოპა, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, კანარიო).

„რეალმა“ კონცერტის სტილში ჩაატარა მატჩი და 4 „შრალი“ ბურთი გაიტანა ნაკრების კარში.

თუნდაც მხოლოდ ეს ანგარიში ცხადყოფს, რომ ლ. ჩაოსისა და პ. ესკარტინის გუნდს ჯერჯერობით კარგად ვერა აქვს საქმე.

ე. ტაბუცაძე

ოთხი მატჩი — ოთხი მოგება

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა თავისი მეორე მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ მინეაპოლისის უნივერსიტეტის ნაკრებთან გამართა. შეხვედრა კვლავ საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს 10:2. ასოშიეიტედ პრესის საგენტოს განცხადებით სტუმრებს შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მეკარეებმა ვ. კონოვალენკომ და ე. ერკინმა და თავდამსხმელმა ი. დეკონსკიმ.

მესამე მატჩი ჩვენმა სპორტსმენებმა ჩაატარეს ქალაქ კოლორადოში ადგილობრივ გუნდთან „სპრინგსთან“ და კვლავ გაიმარჯვეს—8:3. საბჭოთა ჰოკეისტებმა კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატარეს აღნიშნულ ქალაქში და კვლავ გამარჯვება მოიპოვეს — 10:1.





ეს თხელტანიანი წიგნი, რომელიც გამოსცა „ნაკადულმა“ გულშემატკივართა თანამგზავრის სერიაში, შეეხება საქართველოს მოჭადრაკეებს. იგი პირველი ცდაა გაცნოს ფართო მკითხველებს ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მოჭადრაკეები.

წიგნი იხსნება მოკლე შესავლით, რომელშიც ავტორი-შემდგენელი თ. გიორგაძე მოგვითხრობს ქართული ჭადრაკის წარსულზე, მის განვითარებაზე საბჭოთა საქართველოს პირობებში. შემდეგ ვეცნობით მოჭადრაკეების ფოტოსურათებს და მოკლე ბიოგრაფიებს. წიგნში შეტანილი არიან მხოლოდ სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, ცნობილი პირველთანრიგოსანი ქალები, მწვრთნელები და საჭადრაკო კომპოზიტორები.

წიგნი გამოცემულია 10.000 ტირაჟით და ღირს 5 კაპ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მ-სამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—8-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34. გამომშვების — 8-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05407